საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სამსახური

საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი N99. ტელ: ; ელ.ფოსტა: info@nbe.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbe.gov.ge

A20075943-010/036
08.07.2021

-

შპს ოჯთ (245434169) დირექტორს

ბ/ნ ნიკოლოზ ასანიძეს

მის: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაშლივჯვარი, სარაჯიშვილის ქ., №13-15-17

2021 წლის 08 ივნისის სსიპ ,,აღსრულების ეროვნულ ბიუროში" შემოსული იქნა თქვენი განცხადება (აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიის მიერ მინიჭებული ნომერი: A20075943-D082) და თანდართული დოკუმენტები, რომლითაც ითხოვთ საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით ივჯარის განხორციელებაზე მეურვის - სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თანხმობას.

გაცნობებთ, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, მოვალეს ეკრძალება ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე. საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით საწარმო უფლებამოსილია მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით იკისროს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

თქვენი განცხადების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გეძლევათ თანხობა

1. **გეძლევათ თანხმობა, კომპანიამ მოახდინოს ივჯარის ხელშეკრულების გაფორმება მოივჯარე კომპანია შპს მაგთიკომთან შემდეგ უძრავ ქონებაზე საკ.კოდი 01.10.06.001.018-ზე**

ამასთან, გევალებათ, წარმოგვიდგინოთ ზემოაღნიშნული მოქმედებების შესასრულებლად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დეტალური ინფორმაცია.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად გეკრძალებათ "გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, ჩერდება ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადოსი) დარიცხვა/გადახდა''.

ამავე დროს, შეგახსენებთ, რომ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად. კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი

ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

პატივისცემით,

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სამსახურის

ქეის-მენეჯერი სანდრო საგინაძე



სანდრო საგინაძე